ვებგვერდის გამოყენების წესები და პირობები

ზოგადი დებულებები

წინამდებარე ვებგვერდს მართავს სააქციო საზოგადოება „ბაზისბანკის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 203841833; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N1).

ტერმინები „ბანკი", „ჩვენ" გულისხმობს სს „ბაზისბანკს“, ასევე მისი შვილობილ კომპანიებს, ხოლო ტერმინი „თქვენ", „მომხმარებელი" ნიშნავს ბანკის ვებგვერდზე www.basisbank.ge -ზე შემოსულ ნებისმიერ სტუმარს.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე წესებსა და პირობებს, რომელიც არეგულირებს თქვენ მიერ ვებგვერდის გამოყენების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით წინამდებარე წესებსა და პირობებს, გთხოვთ, დატოვოთ ბანკის ვებგვერდი.

თქვენს მიერ ბაზისბანკის ვებგვერდზე შესვილით ან მასზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენებით, ადასტურებთ, რომ სრულად ეთანხმებით წინამდებარე წესებსა და პირობებს.

ბაზისბანკი უფლებამოსილია პერიოდულად, ცალმხრივად შეცვალოს ეს წესები და პირობები. ამგვარი ცვლილების შემდეგ ვებგვერდზე თქვენი სტუმრობა ნიშნავს შესაბამის პირობებზე დათანხმებას.

ვებგვერდის გამოყენება

ვებგვერდზე მითითებული ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ მომხმარებლების პირადი გამოყენებისთვის. ამ ვებგვერდზე არსებულ ინფორმაცი მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ ჩვენ არ ვიძლევით გარანტიას მის სისრულეზე, დროულობაზე და სისწორეზე. მომხმარებელი ეცნობა, იყენებს და ენდობა ამ ინფორმაციას მხოლოდ საკუთარი რისკით.

ამ ვებგვერდზე მოცემული არც ერთი ინფორმაცია (პირდაპირი ან ირიბი) არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საინვესტიციო რეკომენდაცია ან რჩევა.

ამ ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება განსხვავდებოდეს თქვენი ბრაუზერის ფუნქციონალისა და შეზღუდვების მიხედვით. ბაზისბანკი არ იღებს პასუხისმგებლობას, თუ თქვენ ვერ ნახულობთ ამ ვებგვერდის რომელიმე ნაწილს ან კომპონენტს.

ბანკი იტოვებს უფლებას შეცვალოს ან წაშალოს ნებისმიერი მასალა ვებგვერდზე, მათ შორის, გადახედოს და წაშალოს ინფორმაციის ნებისმიერი ნაწილი. ბანკი ასევე უფლებამოსილია ვებგვერდის ან მისი ნაწილის გამოყენებაზე უარი განუცხადოს ნებისმიერ მომხმარებელს.

ვებგვერდი შეიძლება შეიცავდეს ბმულებს გარე ვებგვერდებზე. ნებისმიერი ასეთი ბმული მოცემულია მხოლოდ თქვენივე ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად. ბაზისბანკს არ აქვს კონტროლი გარე ვებგვერდები ინფორმაციაზე და არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ვებგვერდებზე მოცემულ შინაარსზე, მასალასა თუ ინფორმაციაზე.

ვებგვერდზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია მითითებულია „როგორც არის” (“As Is”) პრინციპის მიხედვით, ნებისმიერი გარანტიის, პირობების ან სხვა სახის ვალდებულების გარეშე, შესაბამისად, ბანკი არ არის პასუხისმგებელი ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენებით დამდგარ შედეგზე/ზიანზე.

იქ სადაც მოითხოვება რეგისტრაცია და პაროლის გამოყენება, თქვენ ვალდებული ხართ, კონფიდენციალურად შეინახოთ და არ დაუშვათ მესამე პირის მიერ ვებგვერდზე წვდომის შესაძლებლობა თქვენ მაგივრად.

თქვენს ერთპიროვნულ რისკს წარმოადგენს ვებ-გვერდზე მოსახვედრად გამოყენებული ნებისმიერი პროგრამული მოდულის (სატელეფონო, კომპიუტერული და სხვა) გაუმართავობა.

იმ შემთხვევაში, თუ ვებგვერდზე წვდომა შეუძლებელი გახდება ბანკის ტექნიკური შეფერხების, ან ბანკისაგან დამოუკიდებელი სხვა ნებისმიერი მიზეზით, ბანკი არ არის პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ბანკი არ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ, არასახელშეკრულებო ზიანს, რაც გამოწვეულია ვებგვერდზე მითითებული ინფორმაციის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი იღებს ყველა გონივრულ ზომას და იყენებს ყველა აუცილებელი მექანიზმს იმისთვის, რომ სერვისებზე თქვენი წვდომა იყოს მუდმივი,

უწყვეტი და უსაფრთხო, ბანკი არ იძლევა არანაირ გარანტიას ამასთან დაკავშირებით, რომ სერვისებით ან მათი ცალკეული კომპონენტებით სარგებლობა იქნება კომპიუტერული ვირუსებისგან დაცული. მსგავსი სახის რისკებისგან თავდასაცავად, თქვენ უფლებამოსილი ხართ, მიიღოთ და დანერგოთ პრევენციისა და თავდაცვის ინდივიდუალური ზომები. ბანკი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ ზიანზე (ზარალზე), რომელიც, შესაძლოა, სერვისებით სარგებლობის დროს კომპიუტერულმა დაინფიცირებამ ან პროგრამული ნაწილის ნებისმიერმა დესტრუქციულმა ელემენტმა გამოიწვიოს.

ვებგვერდზე წარმოდგენილი შინაარსის ხელმისაწვდომობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს საძიებო სისტემის ფუნქციებსა და შეზღუდვებზე. ბანკი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევებში, თუ ვებგვერდის შემადგენელი გარკვეული კომპონენტები არაა ხელმისაწვდომი თქვენთვის. აგრეთვე, ბანკი არ არის პასუხისმგებლობას იმ ზიანზე (ზარალზე), რომელიც, შესაძლოა, ჩვენი სერვისების ან მათი ცალკეული კომპონენტების შეფერხებით ან დაგვიანებით მოწოდებამ გამოიწვიოს.

აკრძალვები ვებგვერდის გამოყენებისას

ბანკის ვებ-გვერდის (მათ შორის ონლაინ ჩატის, ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების) გამოყენებისას, მომხმარებელს ეკრძალება უკანონო/თაღლითური ქმედება, ცილისმწამებლური, სიძულვილის ენით საუბარი, ან სხვა არასასურველი ინფორმაციის განთავსება, გავრცელება, რაც შესაძლოა არღვევდეს მოქმედ კანონმდებლობას და რეგულაციას, ან ზიანს აყენებდეს ბანკის საქმიან რეპუტაციას. ასევე გეკრძალებათ ვებ-გვერდისთვის ზიანის მიყენება ნებისმიერი სახის მავნე პროგრამის მეშვეობით.

ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გეკრძალებათ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის, ასევე ვებგვერდის სტრუქტურის, გამოსახულების და დიაზინის გაავრცელება, გადაცემ, მისი ასლების დამზადება ან/და რეპროდუცირება (მათ შორის სოციალურ მედიაში) კომერციული მიზნებისთვის, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობა არ არის საჭირო, თუ ვებგვერდზე მითითებული ინფორმაციის/შინაარსის გამოყენება ხდება ბანკის წინასწარ განცხადებული თანხმობის შესაბამისად, ან ასეთი ინფორმაცია გამოიყენება პირადი მოხმარებისთვის, საგანმანათლებლო ან ინფორმაციული მიზნებისთვის.

აკრძალულია ებგვერდისა და სისტემის არაავტორიზებული გამოყენება (მათ შორის არარსებული დასახელებით და კოდით).

ინტელექტუალური საკუთრება

ვებგვერდი, მის შინაარსი, სტრუქტურა და დიზაინი დაცულია საავტორო უფლებებით, წარმოადგენს სს „ბაზისბანკის" ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს და მათზე სრულად ვრცელდება სს „ბაზისბანკის" საკუთრების, საავტორო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა თანმდევი ქონებრივი და არაქონებრივი უფლება. აკრძალულია ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნება, რეპროდუქცირება, დისტრიბუცია, შესრულება, მოდიფიცირება, გარდაქმნა, გადაცემა, შენახვა ან ნებისმიერი სხვა ფორმითა და საშუალებით ექსპლოატაცია.

კონფიდენციალურობის დაცვა

ბაზისბანკი უზრუნველყოფს მისთვის მიწოდებულ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბანკის მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება თქვენი წინასწარი თანხმობით, ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ბანკი ზრუნავს თქვენი პირადი კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოებასა და გაუმჟღავნებლობაზე, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თქვენი მონაცემების დისტანციურად მოწოდების პროცესი არ არის დაშიფრული, ბანკი იხსნის პასუხისმგებლობას მესამე პირების მიერ თქვენი მონაცემების არასანქცირებულ წვდომაზე ამ მონაცემების ჩვენთვის მოწოდების დროს.

მოქმედი კანონმდებლობა და იურისდიქცია

ეს ვებგვერდი და მისი გამოყენების წესები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და უნდა განიმარტოს მის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თქვენ ცხოვრობთ თუ არა და აწარმოებთ თუ არა სამიანობას ბაზისბანკის მეშვეობით საქართველოში. ბაზისბანკის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი

სარჩელი და ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება ან დაკავშირებულია თქვენ მიერ ამ ვებგვერდის წვდომასა და მისით სარგებლობასთან, თქვენმიერ უნდა წარედგინოს მხოლოდ საქართველოს სასამართლოებს.

თქვენ თანხმობას აცხადებთ საქართველოში არსებული სასამართლოების განსჯადობასა და ადგილმდებარეობაზე იმ თვალსაზრისით, რომ ბაზისბანკი თავის ყოველგვარი სარჩელს თქვენ წინააღმდეგ, რაც წარმოიშვება ან დაკავშირებულია თქვენ მიერ ამ ვებგვერდისწვდომასთან ან მისით სარგებლობასთან და ამ მოხმარების წესების ან/და კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებთან, წარუდგენს საქართველოს სასამართლოებს.